№386 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აგროარომა ჯგუფისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, ორბელიანის ქუჩაზე მდებარე 70 754.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1-№16 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №50.04.33.207), პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 324 000 (სამას ოცდაოთხი ათასი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „აგროარომა ჯგუფს“ (ს/კ: 402017483).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ეთერზეთების, ცხოველების საკვების და ტექსტილის ნაწარმის მწარმოებელი საწარმო(ებ)ის შექმნა და ფუნქციონირების დაწყება;

გ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო

პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწარმო(ებ)ში არანაკლებ 62 (სამოცდაორი) ადამიანის დასაქმება არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. შპს „აგროარომა ჯგუფი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**